

საიდ. №68389/03
IR1032003

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 193-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქართველოს“ სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ქ. ეგუტია (თავმჯდომარე), ქ. ქემაშვილი, მ. ბაკურაძე, ქ. კილაძის მდივნობით განიხილა კომპანიის „J. Cortes Cigars, naamloze vennootschap“ („J. Cortes Cigars, naamloze vennootschap“) (ბელგია) სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება საქართველოს სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 19 აგვისტოს №1728/03 ბრძანების ბათილად ცნობა. აღნიშნულ ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „AMIGOS“ დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია გრანტ ვარდანიანის სახელზე 34-ე კლასის მსგავსი საქონლისათვის საქართველოში რეგისტრირებული ნიშანისა „AMIGO АМИГО амиго“ (რეგ. №22117, თარიღი: 27.12.12011წ.). ორივე ნიშანი მსგავსია ვიზუალურად და ფონეტიკურად, რაც ექსპერტიზის თანახმად ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. ზემოთქმული წარმოადგენს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად სასაქონლო ნიშანის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი გიორგი გრძელიშვილი მოითხოვს საქართველოს სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 19 აგვისტოს №1728/03 ბრძანების ბათილად ცნობას და განცხადებული სასაქონლო ნიშნის „AMIGOS” რეგისტრაციას განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლისათვის.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ” ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.”

აპელანტი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ნიშნები მსგავსია აღრევის დონემდე, ვინაიდან ნიშნებს შორის არსებობს, როგორც ვიზუალური, ასევე ფონეტიკური სხვაობა. აპელანტის აზრით, ნიშნების ფონეტიკური და ვიზუალური ანალიზი ცხადყოფს, რომ დაპირისპირებული ნიშანი შედგება სამი სიტყვისაგან, ყოველი სიტყვა შედგება ხუთი ასოსგან, რაც საერთო ჯამში შეადგენს თხუთმეტ ასოს, მაშინ როდესაც განცხადებული ნიშანი ექვს ასოიანია.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად ნიშნის მფლობელი ვალდებულია ნიშანი გამოიყენოს იმ სახით, როგორც ნიშანი რეგისტრირებულია საპატენტო უწყებაში. დასაშვებია მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები. აპელანტის განცხადებით, აღნიშნულიდან გამომდინარე ნიშნებს შორის სხვაობა უცვლელი დარჩება და მომხარებელი ადვილად განასხვავებს ერთსიტყვიან ნიშანს სამსიტყვიანი ნიშნისაგან. შესაბამისად, ორივე ნიშნის რეგისტრაცია და მისი მომდევნო გამოყენება ერთსა და იმავე ბაზარზე არ გამოიწვევს მომხმარებლის შეცდომაში შეუვანას მწარმოებლის მიმართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს კომპანიის „ჯ კორტეს სიგარს, ნამლოზე ვენოტშაპ“ („J. Cortes Cigars, naamloze vennootschap“) საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „AMIGOS“ (IR1032003) დაცვის მინიჭებას საქართველოს ტერიტორიაზე განაცხადში მითითებული საქონლის სრული ჩამონათვლის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მსარის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ძალაში უნდა დარჩეს საქართველოს სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 19 აგვისტოს №1728/03 ბრძანება.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.“

განცხადებული ნიშანი „AMIGOS“ და დაპირისპირებული ნიშანი „AMIGO AMIGO ამიგო“ მსგავსია, როგორც ვიზუალური ისე ფონეტიკური თვალსაზრისით. ნიშანი „AMIGOS“ ჩაწერილია ლათინური ანბანით და შედგება ექვსი ასოსაგან. ხოლო დაპირისპირებული ნიშანი შედგება სამი სხვადასხვა შრიფტით (ლათინური, ქართული და კირილიცა) ჩაწერილი ერთი და იგივე სიტყვისაგან „AMIGO AMIGO ამიგო“. იდენტურია განცხადებული ნიშნის ექვსი ასოდან პირველი ხუთი ასო „AMIGO-S“, დაპირისპირებული ნიშნის ლათინურად ჩაწერილი სიტყვისა „AMIGO“. რაც შეეხება მათ ფონეტიკას, ისინი ასევე მსგავსად გამოითქმის „ამიგოს“ და „ამიგო“. ამასთან, ნიშნები რეგისტრირდება ერთი და იმავე 34-ე კლასის, მსგავსი საქონლის ჩამონათვალისათვის. ამდენად, კოლეგია მიიჩნევს, რომ განცხადებული ნიშნის რეგისტრაციის შემთხვევაში მათ ერთ სასაქონლო ბაზარზე თანაარსებობის პირობებში მოხდება მათი აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

კოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოლეგია მიიჩნევს, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი და ძალაში უნდა დარჩეს საქართველოს სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 19 აგვისტოს №1728/03 ბრძანება.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოებანი და იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქართველოს თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ჯ კორტეს სიგარს, ნამლოზე ვენტოგშაპ“ („J. Cortes Cigars, naamloze vennootschap“) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის უფროსის 2013 წლის 19 აგვისტოს №1728/03 ბრძანება.
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში. (მის.: მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

კოლეგიის თავმჯდომარე:

ა. ეგუტია

წევრები:

ა. ქემაშვილი

ბ. ბაგურაძე